სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან
№ 9 (327) ნოემბერი, 2019 წელი

9 ნოემბერს საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა დააკავეს ცნობილი ტრავმატოლოგ-ორთოპედი, საქართველოს ართროსკოპისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ვაჟა გაფრინდაშვილი. ოკუპანტები და რუსი სეპარატისტები მისგან ერთადერთს ითხოვენ – აღიაროს საზღვრის დარღვევა, რაზეც იგი კატეგორიულ უარს აცხადებს. ახალგორის სასამართლომ ვაჟა გაფრინდაშვილს, აღმკვეთი ღონისძიების სახით, ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

18 ნოემბერს კი მთელი ქვეყნის მასშტაბით მოეწყო „თეთრი ხალათების აქცია'', რომელშიც, სხვებთან ერთად, ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის მშობლიური სამედიცინო უნივერსიტეტის ასობით სტუდენტი, პედაგოგი და თანამშრომელი მონაწილეობდა. მანიფესტაცია მოეწყო თსსუ-ის საუნივერსიტეტო კლინიკებშიც.

გვ 2

2019 წლის 15 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია შეხვდა პირველი სემესტრის სტუდენტებს. შეხვედრის მიზანი იყო პირველსემესტრელთა შთაბეჭდილებების, შენიშვნებისა და წინადადებების მოსმენა და რექტორთან უშუალო, გულახდილი საუბრის შესაძლებლობა, ასევე, სტუდენტების ინფორმირება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესში დანერგილი სიახლეების, სხვა მიმდინარე ცვლილებების, ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.

გვ 3

პროფესორი ანდრო კაჭარავა: არ შემიძლია არ ვთქვა, რომ კენ ვოლკერის გარეშე ემორიში ყოფნის პირველი თვეები ძალიან გამიჭირდებოდა. ის ყოველთვის ცდილობდა მაქსიმალურად დამხმარებოდა. დიდი წვლილი შეიტანა ჩემს პროფესიონალად ჩამოყალიბებაში. და მარტო ჩემთან არ იყო ასეთი... კენი სულ ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ქართველისთვის გაეკვალა გზა.

გვ 5

ნოემბერში სტუდენტურ ფესტივალზე თეატრმა „ჰიგიამ“ წარადგინა სპექტაკლი – „სიკვდილი ღრუბლებში“, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა, რაზეც ფესტივალის დახურვის ცერემონიაზე აღებული პრიზები მეტყველებს. ქალის და მამაკაცის ეპიზოდური და მთავარი როლების საუკეთესო შესრულებისთვის „ჰიგიამ“ 4 პრიზი მოიპოვა.

გვ 8

2019 წლის 13-17 ნოემბერს ახალგაზრდა და უფროსი ასაკის სპორტსმენებს შორის ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი კრივში, სადაც უფროსი ასაკის მოკრივეთა შორის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტმა, გიორგი ჭიღლაძემ, პირველი ადგილი დაიკავა.

გვ 6

შეხვედრა პირველსემესტრელებთან

2019 წლის 15 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია შეხვდა პირველი სემესტრის სტუდენტებს. შეხვედრის მიზანი იყო პირველსემესტრელთა შთაბეჭდილებების, შენიშვნებისა და წინადადებების მოსმენა და რექტორთან უშუალო, გულახდილი საუბრის შესაძლებლობა, ასევე, სტუდენტების ინფორმირება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესში დანერგილი სიახლეების, სხვა მიმდინარე ცვლილებების, ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.

შეხვედრაზე თსსუ-ის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია მიესალმა სტუდენტებს და აღნიშნა: „საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენი დიდი ოჯახის – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის – წევრები გახდით. ჩვენ ვზრუნავთ თქვენზე, მაგრამ მინდა იცოდეთ, რომ თქვენს უნივერსიტეტსაც სჭირდება თქვენგან ზრუნვა – ეს გამოიხატება იმაში, რომ თქვენც უნდა ეცადოთ, ყველა ხინჯი გამოსწორდეს და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ხვალ უკეთესი გახდეს, ვიდრე დღესაა. მინდა მოვისმინო თქვენგან, რა შთაბეჭდილებები მიიღეთ, რის გამოსწორებას ისურვებდით, რა მიგაჩნიათ პრობლემად და გპირდებით, არცერთი წინადადება არ დარჩება შესწავლის და რეაგირების გარეშე”.

სტუდენტებმა ისაუბრეს ზოგიერთი საგნის სწავლების შესახებ, გამოხატეს სურვილი, რომ სამედიცინო ქიმიაში, ახალ სასწავლო გეგმასთან ერთად, საუკეთესო იქნებოდა ახალი სახელმძღვანელო, ასევე, მეტი პრეპარატები და თვალსაჩინოებები, მაგალითად, ანატომიის შესწავლისას.

სტუდენტების მიერ დასმულ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით პასუხის გაცემა და საკითხში გარკვევა ადგილზევე იყო შესაძლებელი. პირველსემესტრელებს უპასუხეს: თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ; მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თინათინ ჩიქოვანმა; სასწავლო პროცესების მართვის, შეფასების და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა რუსუდან რუხაძემ.

სტუდენტთა მიერ დასმული საკითხების შემდგომი შესწავლა დაევალა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროფესორ ირინა კვაჭაძეს.

თსსუ-ის რექტორმა ისაუბრა იმ შესაძლებლობაზე, რომელიც ახლახან, კანონმდებლობის შეცვლის საფუძველზე, გაჩნდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, კერძოდ, სტუდენტებს საშუალება ექნებათ ანატომიურ თეატრში იმუშაონ გვამურ მასალაზე, რისი საშუალებაც, უკვე წლებია, საკანონმდებლო შეზღუდვის გამო, არ ჰქონიათ.

პირველსემესტრელებმა შეხვედრაზე მოისმინეს ორი პრეზენტაცია: ერაზმუს+-ის კოორდინატორმა, ნინო კანდელაკმა, განიხილა ყველა ის შესაძლებლობა, რომელიც სტუდენტებს ეძლევათ უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებსა და კლინიკებში ცოდნის გასაღრმავებლად; კანცლერის მოადგილე ალექსანდრე ბუაჩიძე აუდიტორიას ესაუბრა მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.

შეხვედრის დასასრულს სტუდენტებმა მადლობა გადაუხადეს თსსუ-ის რექტორსა და პროფესორ-მასწავლებლებს. მათ აღნიშნეს, რომ ამ მცირერიცხოვანი პრობლემების გვერდით არსებობს ძალიან ბევრი დადებითი, წარმატებული გადაწყვეტილება და, მართლაც, ყველა პირობაა შექმნილი პროფესიული ცოდნის მისაღებად.

პირველსემესტრელებს კიდევ ერთხელ განუმარტეს, რომ თსსუ-ის ადმინისტრაცია მზადაა მოუსმინოს და მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია მათთვის საინტერესო ყველა საკითხთან დაკავშირებით, ასევე, გაითვალისწინოს მათი აზრი და რეაგირება მოახდინოს შენიშვნებზე.

თანამშრომლობის პროექტის განხილვა ბერლინში

თსსუ-ის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია და ვიცე-რექტორი, პროფესორი რიმა ბერიაშვილი მიწვეულები იყვნენ ბერლინში, ჯანდაცვის ფედერალურ სამინისტროში, გერმანიის პედიატრთა და მოზარდთა მედიცინის ასოციაციასთან (DGKJ) თანამშრომლობის პროექტისა და კონტრაქტის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.

გერმანიის პედიატრთა და მოზარდთა მედიცინის ასოციაცია (The German Society for Paediatrics and Youth DGKJ) პროფესიული საზოგადოებაა, რომელიც სადღეისოდ 17 000 მაღალი რანგის სპეციალისტს აერთიანებს. ასოციაცია, გერმანიის მთავრობის ხელშეწყობით, გეგმავს 2020 წლიდან განახორციელოს ერთობლივი პროექტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან და თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკასთან ერთად. პროექტის მიზანია გერმანელი სპეციალისტების გამოცდილების გაზიარება და პედიატრიული სამსახურის განვითარება; ექიმთა, რეზიდენტთა, სტუდენტთა და, საზოგადოდ, სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება. პროექტი ითვალისწინებს წამყვანი გერმანელი სპეციალისტების ვიზიტს გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში, სადაც ისინი ჩაერთვებიან სასწავლო პროცესში და განახორციელებენ კლინიკურ აქტივობას, განიხილავენ ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელების შესაძლებლობებს. ვიზიტის ფარგლებში გერმანელი სპეციალისტები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ექიმთა უწყვეტი გადამზადების პროცესში.

4 ნოემბერს შეხვედრაზე, რომელსაც გერმანიის პედიატრთა და მოზარდთა მედიცინის ასოციაციის წევრები და ჯანდაცვის ფედერალური სამინისტროს წარმომადგენელი, ქალბატონი გალინა მანთეი ესწრებოდნენ, პროექტის ირგვლივ მოხსენება გააკეთა აახენის უნივერსიტეტის პედიატრის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ნორბერტ ვაგნერმა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო პროექტისა და კონტრაქტის დეტალები; შეხვედრაზე მოხსენებით წარსდგა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, პროფესორი მიხაელ ლენტცე, რომელმაც საქართველოში, კერძოდ, გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში, თავისი მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილების შესახებ ვრცლად ისაუბრა.

შეხვედრაზე თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, წარმოადგინა მოხსენება საქართველოს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, თსსუ-ის გივი ჟვანიას პედიატრიის აკადემიური კლინიკისა და საზოგადოდ, საერთაშორისო ასპარეზზე, ამ სფეროსთან დაკავშირებულ ყველა მიღწევაზე, ერთობლივი პროექტის მოსალოდნელ შედეგებზე. პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ ყურადღება გაამახვილა თსსუ-ის ნაყოფიერ თანამშრომლობაზე გერმანიის უნივერსიტეტებსა და კლინიკებთან; გერმანელი პროფესორების, მათ შორის, თსსუ-ის საპატიო დოქტორების, კერძოდ, პროფესორ მიხაელ ლენტცეს ღვაწლზე პედიატრთა ახალი თაობის აღზრდის საქმეში და თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში 2013 წლიდან მის მიერ განხორციელებულ კლინიკურ საქმიანობაზე.

ფორუმი ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის (EUA) ეგიდით

21-23 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ირინე კვაჭაძემ და მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თინათინ ჩიქოვანმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის ფორუმის (EQAF) – „Supporting Sociaetal Engagement of Higher Education” – მუშაობაში, რომელიც ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის (EUA) ეგიდით ამჯერად ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდა. ფორუმის სამუშაო თემატიკა, უმეტესწილად, მოიცავდა უმაღლესი განათლების სისტემის სოციალურ ვალდებულებებს, მის განვითარებაში საზოგადოების ჩართულობის როლს და ფორმებს, ასევე, დამსაქმებელთა და, საზოგადოდ, შრომის ბაზრის ინტერესების და მოთხოვნების გათვალისწინების, მათთან და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოლაბორაციის თემებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და სწავლის შედეგების შემუშავების პროცესებში.

ყველა ეს საკითხი განიხილებოდა ხარისხის უზრუნველყოფის/განვითარების შიდა და გარე მექანიზმების, რელევანტური ინდიკატორებისა და მეთოდების, სწავლა-სწავლების და კვლევის ინოვაციური ხედვების ჭრილში. ყოველივე აღნიშნულმა უნდა განსაზღვროს კურსდამთავრებულების აღჭურვა მათი კარიერული განვითარებისთვის აუცილებელი კომპეტენციებით: მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობით, დასაქმებისათვის აუცილებელი ცოდნითა და უნარებით, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციით.

ფორუმი, გარდა სამი პლენარული სხდომისა, მოიცავდა რამდენიმე პარალელურ ინტერაქტიურ-თემატურ „ვორქშოფს“ და სესიას, რომელთა მუშაობაში თსსუ-ის პროფესორები ჩაერთნენ უნივერსიტეტის პრიორიტეტული სამიზნე თემატიკის გათვალისწინებით.

ფორუმზე გამოითქვა ბევრი საინტერესო მოსაზრება, ხშირად – არცთუ თანხვედრილი ერთმანეთთან, რამაც პოლემიკა კიდევ უფრო საინტერესო გახადა.

ფორუმის მონაწილეები შეჯერდნენ საგანამათლებლო პროგრამების სტუდენტზე (მის მოქალაქეობრივ და პროფესიულ საჭიროებებზე) ორიენტირებულობის გაზრდის, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების დახვეწის, მათი მეტი სპეციფიკაციის აუცილებლობაზე ქვეყნის და საგანმანათლებლო სფეროს თავისებურებების, ეროვნული კანონმდებლობის, სტანდარტების და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიის გათვალისწინებით. ფორუმის მორიგი შეკრება დაიგეგმა ფინეთში, 2020 წელს.

მნიშვნელოვანი ვიზიტით ექს-მარსელის უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ფარმაკოგნოზიისა და ბოტანიკის მიმართულების ფარმაკოგნოზიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ლაშა მსხილაძე, პროფესორ სანდრინ ალიბერტის (Professeur Sandrine Alibert) ოფიციალური მიწვევით, მივლინებული გახლდათ საფრანგეთში, მარსელში, მარსელის უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ ფრანსუა დიგნატ-გეორგს (Professeur Françoise Dignat-George), ვიცე-დეკანს სამეცნიერო დარგში, პროფესორ ჟან-პოლ ბორგს (Professeur Jean-Paul Borg), სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს, რომელთაც გააცნო თსსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამები და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სფეროები. ასევე, მიაწოდა ინფორმაცია თსსუ-ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის მიზნების, სამეცნიერო საქმიანობის და სტრატეგიული განვითარების გეგმების შესახებ.

ექს-მარსელის უნივერსიტეტის სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალსა და სამეცნიერო ჯგუფებთან გამართული დისკუსიის შემდეგ გამოითქვა სურვილი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამების განხორციელებაში ჩართულობისა და უნივერსიტეტებს შორის სტუდენტების გაცვლითი პროგრამების დაგეგმვასთან დაკავშირებით. საუბარი შეეხო, აგრეთვე, საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში ერთობლივ მონაწილეობას და სხვა..

დიდი აღიარება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინტიტუტის პროფესორი, ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი მერი ალანია, იმ აღიარებულ ქართველ გამომგონებელ ქალბატონთა შორისაა, რომელთა დამსახურებითაც, ჩვენი ქვეყანა ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო ქალთა ასოციაციის - „გამომგონებელ ქალთა საერთაშორისო კვლევის ცენტრის" – მონაცემებით, სახელმწიფოთა ათეულში შევიდა.

პროფესორმა მერი ალანიამ შექმნა ჰიპოაზოტემიური და დიურეზული მოქმედების სამკურნალო პრეპარატი — ,,ფლარონინი", რომელიც 1985 წლიდან, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, აქტიურად გამოიყენება.

პროფესორი მერი ალანია გახლავთ საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (2004 წ.); არის მრავალი სამეცნიერო ფორუმის მონაწილე, მრავალი სტატიის ავტორი, არაერთი საპატიო სიგელის, საიუბილეო მედლის, საინსტიტუტო პრემიის თუ რამდენიმე პატენტის მფლობელი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სახელით, ქალბატონ მერი ალანიას, ვულოცავთ ამ დიდ აღიარებას და ვუსურვებთ სამომავლო წარმატებებს!

საჯარო ლექცია – „ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობა"

ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის (EMSA) ინიციატივით ჩატარდა თსსუ-ის შინაგან დაავადებათა №1 დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ კახაბერ ჭელიძის საჯარო ლექცია – „ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობა".

პროფესორმა კახაბერ ჭელიძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობასთან დაკავშირებული, მსოფლიოში არსებული ძირითადი პრობლემები და აქტუალობა, როგორც გლობალური მასშტაბით, ასევე საქართველოსთან მიმართებაში. კერძოდ, ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობის ფორმები, გამომწვევი მიზეზები და მექანიზმები, მულტირეზისტენტობის საკითხი. პროფესორმა კახაბერ ჭელიძემ წარმოადგინა მსოფლიო მასშტაბით არსებული უახლესი კვლევები და სამეცნიერო მტკიცებულებები. ლექციის დასკვნით ნაწილში მომხსენებლის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რაციონალური ანტიბაქტერიული თერაპიის მნიშვნელობას. „არასდროს დაივიწყოთ ანტიბიოტიკო-რეზისტენტობის პრობლემა და რაციონალურად მიუდექით მკურნალობის საკითხს!" – აღნიშნა პროფესორმა კახაბერ ჭელიძემ.

ვიზიტი ტარტუს უნივერსიტეტში

თსსუ-ის სპორტული მედიცინის და რეაბილიტაციის კლინიკური ცენტრის დირექტორი, ვალერი ახალკაცი, ERASMUS+-ის საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში, იმყოფებოდა ტარტუს უნივერსიტეტში (ესტონეთი), სადაც ფიზიოთერაპიის ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებს ჩაუტარა ლექცია და სემინარი, ასევე, გაიმართა შეხვედრა ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან, რომელსაც ესწრებოდნენ პროფესორები: ვაჭურ ოპიკი, ევე უნტი და ფიზიოთერაპიის პროგრამის ხელმძღვანელი ელენა სოკკი. დისკუსია სასწავლო პროგრამების, კურიკულუმის მოცულობისა და შინაარსის განხილვას მიეძღვნა; სამომავლოდ გათვალისწინებულია პროგრამების შესაბამისობის შეფასება, რაც საშუალებას მისცემს აღნიშნულ უნივერსიტეტებს ეფექტურად ჩაერთონ აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში.

ტარტუს უნივერსიტეტში ბატონმა ვალერი ახალკაცმა მონაწილეობა მიიღო სპორტული მედიცინის მიმართულების დაარსების საიუბილეო, მესამოცე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში, სადაც წარადგინა მოხსენება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სპორტულ კარდიოლოგიაში არსებული გამოცდილებისა და მიღწევების შესახებ. კონფერენციის დასასრულს გაიმართა სამეცნიერო სესია, რომელსაც უძღვებოდა ევროპის სპორტული კარდიოლოგიის სექციის ხელმძღვანელი და ლონდონის წმინდა გიორგის უნივერსიტეტის პროფესორი მაიკლ პაპადაკისი.

ქართველი პროფესორი თურქეთში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ირმა მანჯავიძე, ნოემბრის თვეში მონაწილეობდა სამედიცინო განათლების თურქეთის ასოციაციისა და იედიტეპეს უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ორგანიზებით გამართულ კონფერენციაში – „სიმულაციები სამედიცინო განათლებაში". კონფერენციაში მონაწილეობდნენ მსოფლიოს 60 ქვეყნის წარმომადგენლები.

ქართველმა პროფესორმა წარმოადგინა რამდენიმე მოხსენება საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების ახალი გამოწვევებისა და მიღწევების შესახებ, ასევე, ობიექტურად სტრუქტურებული კლინიკური გამოცდის შედეგების ინტერპრეტაცია შინაგან დაავადებებსა და პედიატრიაში.

აღსანიშნავია, რომ კონფერენციაზე წარმოდგენილი პრეზენტაციები განსხვავებული ფორმატით დაიბეჭდა სტამბოლის სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალში.

პროფესორი ირმა მანჯავიძე დაესწრო სამუშაო შეხვედრას და დაათვალიერა სტამბოლის იედიტეპეს და აჩიბადენის უნივერსიტეტების სიმულაციური სწავლების ცენტრები. დაისახა სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები.

საერთაშორისო კონფერენცია პედიატრიაში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის, თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით და თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის ბავშვთა ქირურგიისა და პედიატრიის დეპარტამენტების ჩართულობით, 19 - 21 ოქტომბერს, თელავში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ბავშვთა ასაკში ხშირად გამოვლენილი დაავადებების მკურნალობის თანამედროვე ასპექტები".

ღონისძიების მომხსენებლები იყვნენ: იუჯინ მინევიჩი – მედიცინის დოქტორი, ცინცინატის (აშშ) უნივერსიტეტის პედიატრიული უროლოგიის განყოფილების პროფესორი, ამერიკის ბავშვთა უროლოგიური ასოციაციის გენერალური დირექტორი; მიხაილ ლენტცე – ბონის უნივერსიტეტის პროფესორი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი; მერაბ ბუაძე – თსსუ-ის პროფესორი, გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის ბავშვთა ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; ავთანდილ კუტუბიძე – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; ზაზა ჭანტურაია – უროლოგიის ეროვნული ცენტრის ბავშვთა უროლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველოს უროლოგთა ასოციაციის ბავშვთა და რეკონსტრუქციული უროლოგიის ჯგუფის თავმჯდომარე; გიორგი ქოჩიაშვილი – თსსუ-ის უროლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; მაია ხერხეულიძე – პედიატრი, თსსუ-ის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; მარინა გაგოშიძე – პედიატრი, თსსუ-ის პროფესორი;

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, რეზიდენტებმა და პრაქტიკოსმა ექიმებმა.

ექიმის აზრი

საოკუპაციო რეჟიმის უკანონო პატიმარი

მიმდინარე წლის 9 ნოემბერს საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა დააკავეს ცნობილი ტრავმატოლოგ-ორთოპედი, საქართველოს ართროსკოპისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ვაჟა გაფრინდაშვილი. ოკუპანტები და რუსი სეპარატისტები მისგან ერთადერთს ითხოვენ – აღიაროს საზღვრის დარღვევა, რაზეც იგი კატეგორიულ უარს აცხადებს. ახალგორის სასამართლომ ვაჟა გაფრინდაშვილს, აღმკვეთი ღონისძიების სახით, ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

საქართველოს ექიმთა ასოციაციამ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში კოლეგის მხარდასაჭერი აქცია გამართა, სადაც თანადგომა გამოუცხადეს ღირსეულ ექიმსა და პიროვნებას და მისი გათავისუფლებისთვის ხელისუფლებას ქმედითი ზომების გატარება მოსთხოვეს. 18 ნოემბერს კი მთელი ქვეყნის მასშტაბით მოეწყო ,,თეთრი ხალათების აქცია'', რომელშიც, სხვებთან ერთად, ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის მშობლიური სამედიცინო უნივერსიტეტის ასობით სტუდენტი, პედაგოგი და თანამშრომელი მონაწილეობდა. მანიფესტაცია მოეწყო თსსუ-ის საუნივერსიტეტო კლინიკებშიც, სადაც ქართველმა მედიკოსებმა მდუმარე პროტესტით კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ მსგავსი ქმედებანი ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას და კოლეგის დაუყოვნებლივი გათავისუფლება მოითხოვეს.

ქართველი ექიმის გათავისუფლების მოთხოვნით საქართველოს მთავრობამ მიმართა ევროკავშირის, ეუთოსა და გაეროს წარმომადგენლებს.

დღითიდღე სულ უფრო მეტი საერთაშორისო ორგანიზაცია უცხადებს სოლიდარობას და თანადგომას ქართველ ექიმს, რომლებიც ითხოვენ გამოიყენონ ყველა საშუალება საოკუპაციო ხაზზე პროვოკაციების შეწყვეტისა და უკანონო პატიმრის დროულად გასათავისუფლებლად. ცნობილი გახდა, რომ კოლეგის დაკავებას გმობენ ცხინვალელი ექიმებიც, თუმცა, დე-ფაქტო რეპრესიული რეჟიმის გამო, ისინი პროტესტის ხმამაღლა გამოხატვას ვერ ახერხებენ.

სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე შექმნილ ჰუმანიტარულ კრიზისთან დაკავშირებით, საქართველოში ადამიანის უფლებებზე მომუშავე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, მიმართავენ და მოუწოდებენ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიას და საპარლამენტო ასამბლეას, ასევე, „წითელი ჯვრის" საერთაშორისო კომიტეტს, მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, გამოიყენონ ყველა პოლიტიკური ბერკეტი.

უცნობია, როდის მოხერხდება ქართველი ექიმის გათავისუფლება. ამ რთულ პროცესში ჩართულია „წითელი ჯვრის" და საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლობა, რომელთაც მოახერხეს ცხინვალის იზოლატორში მისი მონახულება. მათი განცხადებით, ცხინვალის რეგიონის სეპარატისტულ ტერიტორიას და დანარჩენ საქართველოს შორის გადაადგილების სრული აკრძალვა ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების უხეში დარღვევაა.

,,სოლიდარობა ვაჟა გაფრინდაშვილს", – ამ ლოზუნგით მოეწყო კიდევ ერთი აქცია ქალაქ იენაში, სადაც გერმანიაში მყოფმა ქართველმა ექიმებმა და სტუდენტებმა მოითხოვეს უკანონოდ დაკავებული ექიმის დროულად გათავისუფლება. მსგავსი აქციები დაგეგმილია გაიმართოს მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში.

არსებობს ადამიანური ცნება ექიმის ხელშეუხებლობის შესახებ. ამ შემთხვევაშიც ერთადერთი გონივრული გამოსავალი საოკუპაციო რეჟიმის უკანონო პატიმრის დაუყოვნებლივი გათავისუფლებაა. ნათელზე ნათელია, რომ საოკუპაციო ხაზზე მიმოსვლისა და სამედიცინო მომსახურებაზე წვდომის შეზღუდვას მძიმე ჰუმანიტარული შედეგები მოაქვს.

შესანიშნავ ოჯახში აღზრდილი რჩეული ქართველი დღეს განსაცდელშია, თუმცა, უშიშართა წესისამებრ, ქედს არ იხრის მტრის წინაშე და სამშობლოს ერთგულ ჯარისკაცად რჩება.

მოამზადა დარეჯან კომლაძემ

სისხლის უანგარო დონაცია

სისხლის ჩაბარება მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარეობს; ერთი ადამიანის მიერ გაღებულმა სისხლმა, შესაძლოა, რამდენიმე სიცოცხლე იხსნას. ამის გააზრება ყველა მოქალაქისთვის და, განსაკუთრებით ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალისთვის, მნიშვნელოვანია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის და სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის ერთობლივი ძალისხმევით, თსსუ-ში ჩატარდა სისხლის უანგარო დონაცია.

თსსუ აქტიურად უჭერს მხარს ასეთ სასარგებლო წამოწყებას. როგორც წინა წლებში, წელსაც, დონორები თსსუ-ის ქართველი და საერთაშორისო სტუდენტები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები იყვნენ. წელს, ჩვენს უნივერსიტეტში უპრეცედენტო შემთხვევა დაფიქსირდა – დონორთა რაოდენობამ 70-ს გადააჭარბა.

ასეთ კეთილშობილურ და საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობა საამაყოა თსსუ-ის სტუდენტებისთვის, რადგანაც ჰუმანური პროფესიის წარმომადგენლებმა კარგად უწყიან, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, ადამიანის სიცოცხლის დასახმარებლად უანგაროდ გაღებული, თუნდაც, ერთი წვეთი სისხლი.

ნია თოიძე,
მედიცინის ფაკულტეტის
I სემესტრის სტუდენტი

საინტერესო ლექცია

თითოეული ჩვენგანის ცხოვრება სავსეა სტრესული მოვლენებითა და მისგან გამოწვეული ემოციებით, რომლებიც დიდ გავლენას ახდენს, როგორც ჩვენს სულიერ, ასევე, ფიზიკურ მდგომარეობაზე. არსებობს ბევრი ტრავმული მოვლენა, მაგრამ ყველაზე ხშირია სიყვარულთან დაკავშირებული ან მისგან გამოწვეული პრობლემები. საკუთარ თავზე მუშაობა და ვარჯიში ემოციების სამართავად მნიშვნელოვანია.

სწორედ ამიტომ, ფსიქიკური ჯანმრთელობის მაგისტრთა ასოციაციის ორგანიზებით და თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერით, გაიმართა ლექცია, თემაზე – „სიყვარულის ტრავმა“.

ლექცია ინტერაქტიული ხასიათის იყო. წარმოდგენილმა თემამ, სტუდენტების აქტიური მონაწილეობით, საინტერესო გახადა საღამო, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმით მიმდინარეობდა. სამომავლოდაც, არაერთი მნიშვნელოვანი შეხვედრაა დაგეგმილი სტუდენტური თვითმმართველობის მიერ, რომელიც მრავალფეროვნებას და ინტერესს შემატებს თითოეული ახალგაზრდის სტუდენტურ წლებს.

მარიამ თოლორდავა,
მედიცინის ფაკულტეტის III
სემესტრის სტუდენტი

მედიცინა და სპორტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტის თაოსნობით, სპორტული ფესტივალ – „LUDUS“-ის ფარგლებში, არაერთი სპორტული ჩემპიონატი ჩატარდა, რომელთა გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ წამახალისებელი პრიზებით.

ფეხბურთის ჩემპიონატში გამოვლინდა სამი საუკეთესო გუნდი: ჩემპიონობა მოიპოვა გუნდმა „Alfaisaly“, მეორე და მესამე ადგილზე გავიდნენ: „ლომები“, „Brazzers 69“. საუკეთესო მეკარედ დასახელდა თორნიკე ფუტკარაძე, ბომბარდირი კი გახდა გეგი ბაქრაძე.

პრიზიორი გუნდები დააჯილდოვეს თსსუ-ის ვიცე-რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა, ირაკლი კოხრეიძემ და ყოფილმა ოლიმპიურმა სპორტსმენმა, გელა კეტაშვილმა.

დიდი პოპულარობით სარგებლობდა კალათბურთის ჩემპიონატიც.

პირველი ადგილი წილად ხვდა გუნდს – „ამაღლობელთან დარეკილია“, თავდაუზოგავი ბრძოლის შედეგად II ადგილი გუნდმა – „სუმ“ დაისაკუთრა, III ადგილზე კი გუნდი – „რეაბილიტოლოგი“ გავიდა.

აღსანიშნავია, თსსუ-ის სტუდენტთა გამარჯვება ძალოსნური სპორტის სახეობაში, რომელთაც „საქართველოს თასი“ ძალისმიერ სამჭიდსა და წოლჭიმში მოიპოვეს.

გიორგი ბარიხაშვილმა, გიორგი გარიშვილმა, რატი ჩხეტიანმა, ბექა გულიაშვილმა, საბა გელანტიამ წოლჭიმში I ადგილი დაისაკუთრეს. II-III ადგილი თორნიკე ჭილაძეს და გოგიტა დევდარიანს ერგოთ.

თსსუ-ის სტუდენტებმა თავი გამოიჩინეს სამჭიდში და საუკეთესო მაჩვენებლებით ღირსეული პირველი ადგილი მოიპოვეს ზურაბ დოლაბერიძემ და გიორგი პატარქალიშვილმა.

ძალოსანთა გუნდმა –„გორგასალმა“ გუნდურ ეტაპზე მეორე ადგილი მოიპოვა.

სპორტის დეპარტამენტის ორგანიზებით, ჩატარდა ინტელექტუალური და შემეცნებითი სათავგადასავლო თამაში – „სითი გეიმი“. თამაშში მონაწილეობდა 10 გუნდი, თითოეული მათგანი დაკომპლექტებული იყო ორი მონაწილით. გაიმარჯვა გოგონათა წყვილმა – ნინო ფრუიძემ და ნუცა ფერაძემ.

მარიამ თოლორდავა,
მედიცინის ფაკულტეტის III
სემესტრის სტუდენტი

„მედისინემას“ დაბრუნება

კინოკლუბი – „მედისინემა“ 2017 წლის პირველ დეკემბერს ამჟამინდელი სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტის, ნინო სახანბერიძის, მიერ დაარსდა.

კინოკლუბმა თავიდანვე დიდი დაინტერესება გამოიწვია. ის აერთიანებდა 30-მდე ოფიციალურ წევრს. სწორედ მათი ორგანიზებით იმართებოდა კინოჩვენებები და შემდგომ საინტერესო დისკუსიები, სტუდენტები მსჯელობდნენ, კამათობდნენ, განიხილავდნენ ნანახი ფილმის სიუჟეტს.

წელს „მედისინემა“ ახალი წევრებით დაგვიბრუნდა და წინა „საჰელოუინო“ განწყობის შექმნაზე იზრუნა. გაიმართა შესაბამისი თემატიკის ფილმის – „UNBORN“ ჩვენება.

მორთულმა დარბაზმა და გარემომ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სტუდენტთა ქვეცნობიერზე და ისინი ფილმის ნაწილი გახადა.

მარიამ იაკობიშვილი,
მედიცინის ფაკულტეტის III
სემესტრის სტუდენტი

გამარჯვება სტომატოლოგებს ეჩგოთ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, პირველად, სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორიაში, ჩატარდა კიდევ ერთი ახალი, სახალისო სტუდენტური ფესტივალი – „Food Med Fest“-ი.

ფესტივალში, ყველა ფაკულტეტი აქტიურად იყო ჩართული. ისინი ერთმანეთს სხვადასხვა სახის კონკურსში ეჯიბრებოდნენ. კონკურსის პრინციპები სისწრაფეზე იყო დამოკიდებული, და, როგორც ჩანს, ყველაზე სწრაფი სტომატოლოგიის ფაკულტეტი აღმოჩნდა და სწორედ, მათ მოიპოვეს გამარჯვება და კუთვნილი პრიზები.

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა მაქსიმალურად ცდილობს, შეუმსუბუქოს სტუდენტებს დატვირთული სასწავლო პროცესი, შესთავაზოს მათ ინოვაციური, სახალისო და თავგადასავლებით სავსე დღეები.

ანი თვალაბეიშვილი,
მედიცინის ფაკულტეტის I
სემესტრის სტუდენტი

დიაბეტის საერთაშორისო დღე



ყოველი წლის 14 ნოემბერს მსოფლიო აღნიშნავს დიაბეტის საერთაშორისო დღეს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის განათლების დეპარტამენტის ეგიდით, ცისფერ დარბაზში ჩატარდა ამ დღისადმი მიძღვნილი საჯარო ლექცია. პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ენდოკრინოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელმა, ასისტენტ-პროფესორმა, ქეთევან ხითარიშვილმა, ისაუბრა თემაზე – „დიაბეტი და მისი პრევენციის გზები“.

თსსუ-ის ეზოში განთავსებული იყო კარავი, სადაც სტუდენტებს გლუკომეტრით შეეძლოთ, განესაზღვრათ სისხლში შაქრის რაოდენობა.

ღონისძიების მიზანი დიაბეტის შესახებ ცნობიერების ამაღლება იყო, რასაც თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის განათლების დეპარტამენტმა თავი შესანიშნავად გაართვა.

დიაბეტის მსოფლიო ლოგო – ცისფერი წრე, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სიმბოლო, საზოგადოების ერთიანობის ნიშანი, მომავალ წელსაც შეკრებს ადამიანის ჯანმრთელობის დამცველებს რთული დაავადების მკურნალობის ახალი მეთოდების განსახილველად და ეს თავყრილობები და ერთიანობა გაგრძელდება მანამ, სანამ დიაბეტი საბოლოოდ განკურნებადი არ გახდება.

მარიამ ზურაშვილი,
მედიცინის ფაკულტეტის
III სემესტრის სტუდენტი

სეზონური გრიპის ვაქცინაცია

საქართველოში მიმდინარეობს სეზონური გრიპის საწინააღმდეგო საყოველთაო ვაქცინაცია. თსსუ-ის სტუდენტები იმავე რისკ-ჯგუფს მიეკუთვნებიან, რომელსაც სამედიცინო მედპერსონალი. თსსუ-ის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის და სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით, პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში ჩატარდა სეზონური გრიპის უფასო ვაქცინაცია სტუდენტებისთვის.

ვაქცინაციის პროცესში ჩართული იყვნენ სტუდენტები, ადმინისტრაციის და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები.

თამარ თოდუა,
მედიცინის ფაკულტეტის III
სემესტრის სტუდენტი

სტუდენტური გვერდი მოამზადა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის მე-7 სემესტრის სტუდენტმა, სტუდენტური თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, ანი კვირკველიამ

მინდა, რომ საქართველოში დავბრუნდე

ანდრო კაჭარავა, ექიმი, რომელიც უკვე 27 წელია ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწეობს, წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო სტუმარი გახლდათ. მან სასწავლო წლის დაწყება მიულოცა თსსუ-ის სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს, თუმცა საჯარო გამოსვლის ფორმატი არასოდეს გაძლევს საშუალებას, ისაუბრო საკუთარი ცხოვრების შესახებ, რომელიც ბევრისთვის შეიძლება სამაგალითოდ იქცეს. ჩვენ ბატონ ანდროს შევხვდით და ვთხოვეთ გაეხსენებინა, როგორ გაიარა ურთულესი გზა თსსუ-ის დამთავრებიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში აღიარებულ და წარმატებულ ექიმად გახდომამდე.

– 1986 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (მაშინ ინსტიტუტი). 6 თვე ვმუშაობდი ბორჯომში ექიმად, შემდეგ, ინტერნატურის გასავლელად, გადმოვედი თბილისის ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის ინსტიტუტში, იშემიური დაავადებების განყოფილებაში. ამ დროს ინსტიტუტს ესტუმრა საკავშირო კარდიოცენტრის მეცნიერთა ჯგუფი მოსკოვიდან. ნოდარ ყიფშიძემ – ინსტიტუტის დირექტორმა, შემომთავაზა მიმეღო მათი წინადადება და მოსკოვში წავსულიყავი კვლევით სამუშაოში მონაწილეობის მისაღებად.

თითქმის 4 წელიწადი მოსკოვში, ჩაზოვის კარდიოცენტრში ვიმუშავე, სადაც დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია.

1992 წელს ჩამოვედი და დავიწყე მუშაობა ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის ინსტიტუტის მიოკარდიუმის ინფარქტის განყოფილებაში, პროფესორ გულიკო ჩაფიძის ხელმძღვანელობით. 1992 წელს ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოვიდა ემორის უნივერსიტეტის პრეზიდენტის თანაშემწე ბატონი ტომას ბერტრანი. ის არჩევდა ახალგაზრდებს ემორის უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად. ბატონმა ალექსანდრე რონდელმა დამაკავშირა მასთან. ტომასი გამესაუბრა და მითხრა: ვერაფერს დაგპირდები, უბრალოდ შენს CV-ის გადავცემ იმ ხალხს, ვინც ამ დარგში მუშაობსო. დიდი იმედი არ მქონდა, რომ ვინმე ყურადღებას მომაქცევდა. რამდენიმე თვეში პასუხი მოვიდა, რომ 1992 წლის ოქტომბერში უნდა ჩავსულიყავი ამერიკაში. მაძლევდნენ 3 თვიან ვიზას და საცდელ ვადას. ტომასმა შემომთავაზა თავის სახლში ცხოვრება, კვების და წვრილმან ხარჯებს, რა თქმა უნდა, თვითონ დავფარავდი.

1992 წელს, ამერიკული ჰოსპიტლების ასოციაციამ, აშშ-ის მთავრობის დავალებით, შეიმუშავა პოსტსაბჭოთა სივრცეზე არსებული წამყვანი ჰოსპიტლების დახმარების გეგმა. რამდენიმე წამყვან უნივერსიტეტს დაუკავშირდნენ მოსკოვში, კიევში, მინსკში, ერევანში და ამ ნუსხაში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიც მოხვდა. 1992 წლის აგვისტოს თვეში ემორის უნივერსიტეტიდან საქართველოს აშშ-ის ჰოსპიტლების ასოციაციის დელეგაცია ესტუმრა. მაშინ შევხვდი პირველად კენ ვოლკერს...

– კენ ვოლკერს ძალიან ბევრი კეთილი საქმე აქვს გაკეთებული ქართველი სტუდენტებისთვის, ექიმებისთვის, საქართველოსთვის...

– ნამდვილად ასეა... საოცრად სათნო პიროვნება იყო და ფართო დიაპაზონის ხედვა ჰქონდა. მის მიმართ მადლიერების გრძნობა მუდმივად მექნება.

ბატონი კენი დამპირდა, ამერიკაში გნახავო. რომ ჩავედი, ტომას ბერტრანი იქ არ იყო და ისე შევთანხმდით, თვითონ უნდა მივსულიყავი მის სახლში და ჩემთვის დატოვებული გასაღები ამეღო. მახსოვს, აეროპორტში რომ გამოვედი, გამიკვირდა: ბატონი კენი ჩემს დასახვედრად მოსულიყო.

მეორე დღესაც მომაკითხა დილის 6 საათზე, ვისაუზმეთ და წამიყვანა გრეიდის ჰოსპიტლის ადმინისტრაციულ შენობაში. მესაუბრა, ვის უნდა შევხვედროდი. ინტერვიუები დანიშნული მქონდა, მაგრამ მან მაინც დაურეკა კარდიოლოგიის დეპარტამენტის შეფს, ბატონ ვეინ ალექსანდერს და სიტყვა შემაწია.

კარდიოლოგიის დეპარტამენტში იყო ჯგუფი, რომელიც მუშაობდა ტრომბოციტების აგრეგაციაზე და სისხლის შედედების პრობლემაზე, ბატონმა კენმა შემახვედრა ამ ჯგუფის ხელმძღვანელს, ბატონ მარშალ რუნგეს. ახალგაზრდა კაცი იყო, მაგრამ უკვე დიდი წარმატებისათვის მიეღწია. ვისაუბრეთ და შევთანხმდით, რომ თავიდან ანაზღაურების გარეშე ვიმუშავებდი და შემდგომ გამოჩნდებოდა თუ რის გაკეთებას შევძლებდი. ასე დავიწყე პირველ ეტაპზე მუშაობა...

პროფესორ კენ ვოლკერთან ერთად

არ შემიძლია არ ვთქვა, რომ კენის გარეშე ემორიში ყოფნის პირველი თვეები ძალიან გამიჭირდებოდა. ის ყოველთვის ცდილობდა მაქსიმალურად დამხმარებოდა. დიდი წვლილი შეიტანა ჩემს პროფესიონალად ჩამოყალიბებაში. და მარტო ჩემთან არ იყო ასეთი... კენი სულ ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ქართველისთვის გაეკვალა გზა.

– ექიმი რომ გამხდარიყავით, გამოცდები უნდა ჩაგებარებინათ, ესეც კიდევ ერთი ბარიერი იქნებოდა...

– ვიცოდი გამოცდების შესახებ, მაგრამ გამოცდებზე ფიქრამდე, პირველი რიგის ამოცანა იყო, დამეწყო სამსახური, შემდეგ ჩამომეყვანა მეუღლე და ბავშვი; პირველ რიგში, უნდა დამემტკიცებინა, რომ მე შემიძლია მუშაობა, რაც, შესაბამისად ანაზღაურებადი იქნებოდა და ოჯახზე ზრუნვის შესაძლებლობაც მექნებოდა. კენის დახმარებით, გამონახეს ფონდი და უკვე ოფიციალურად დავიწყე მუშაობა, შესაბამისად — ანაზღაურებაც მივიღე – 2000 დოლარი თვეში; 1993 წლის აპრილის ბოლოს ჩამოვიყვანე ცოლ-შვილიც, ტომისგან გადავედი, ვიქირავე ბინა. ამის შემდეგ დავიწყე გამოცდებზე ფიქრი და მზადება. კენ ვოლკერიც მაჩქარებდა, თან მამხნევებდა... გავედი, დამაკლდა 2 ქულა. უნდა გამეგრძელებინა ისევ დღისით მუშაობა, ღამით — მეცადინეობა, ამას ემატებოდა ოჯახური წვრილმანი პრობლემების მოგვარება... რთული პერიოდი იყო. 6 თვეში ისევ გავედი გამოცდებზე. ამჯერად ჩავაბარე — არა ბრწყინვალედ, მაგრამ ჩავაბარე და დავიწყე რეზიდენტურა. გავხდი ჰოსპიტალური მედიცინის პალატის ექიმი. პირველი სამი თვე ყველაზე მძიმე იყო. კენს ვეუბნებოდი კიდეც ამის შესახებ, რაზეც მპასუხობდა: შენ გჭირდება ეს, რაც უფრო სწრაფად შეხვალ ამ რთულ რიტმში, მით უფრო მეტს მიაღწევ და კარგი შედეგიც გექნებაო. ძალიან რთული იყო რეზიდენტურის პირველი 6 თვე. სულ მქონდა პრობლემები მოსაგვარებელი; თუნდაც ის, რომ ყოველთვის ვაგვიანებდი: ავადმყოფის გამოკითხვას, ისტორიის დაწერას და ა. შ. ემორიში აბსოლუტურად განსხვავებული მოთხოვნები დამხვდა, რასაც სრულყოფილად ვერ ვპასუხობდი. სხვებზე გვიან ვახერხებდი საქმის მოგვარებას. ამიტომ თავს უხერხულად ვგრძნობდი, ყველა შენიშვნას მაძლევდა. გუნდთან ერთად მუშაობის პირველი თვეები ძალიან გამიჭირდა. მერე თანდათან ავუღე ალღო და შედეგი 6 თვის შემდეგ გამოჩნდა.

რამდენჯერმე დაღლილს, შუქნიშანზეც კი დამეძინა, სახლში შესვლისას სავარძელშივე ვიძინებდი.

ძალიან დატვირთული ვიყავი. პირველად რომ მიმღებ განყოფილებაში შევედი და დავინახე გადავსებული პალატები, ვიფიქრე: აქ ვერაფერს შევძლებ მეთქი... ნელ-ნელა მივეჩვიე...

რეზიდენტურის დამთავრების შემდეგ, უნდა გადამეწყვიტა, სად წავიდოდი. მინდოდა ზოგად კარდიოლოგიაში მუშაობა. ის, ვინც ჩემი ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო, სხვა კლინიკაში მუშაობდა. ბატონი კენი დაუკავშირდა და ჩემ შესახებ აზრი ჰკითხა. მან კი ჩემი ნახვის სურვილი გამოთქვა. ჩავედი, გავიარე ინტერვიუ. დავიწყე ზოგადი კარდიოლოგიის ფელოუშიპი (Fellowship) ქალაქ გალვისტონში, ტეხასის შტატში, რომელიც დავამთავრე სამ წელიწადში. შემდეგ დავბრუნდი ატლანტაში, გრეიდი ჰოსპიტალში მუშაობა დავიწყე ზოგად კარდიოლოგიაში, მერე გადავედი სამხედრო ჰოსპიტალში.

– ამ პერიოდიდან იწყება თქვენი აღიარების ეტაპი პროფესიულ ცხოვრებაში. 14-ჯერ საუკეთესო პედაგოგის წოდების მიღება ამერიკის შეერთებულ შტატებში სერიოზული განაცხადია...

– ყველა ჰოსპიტალს აქვს საშუალება, დაასახელოს საუკეთესო პედაგოგი. პირველად ეს ჯილდო ჩემს ჰოსპიტალში, 2003 წელს, მივიღე. ფარულ არჩევანს აკეთებენ, რომელიც მერე ჯამდება და გამარჯვებულიც ვლინდება. 2008 წელს მივიღე ცნობილი ექიმის – ვილის ჰერსტის სახელობის ჯილდო. შემდეგ წლებში ეს ჯილდო კიდევ ორჯერ გადმომეცა. კენ ვოლკერი კმაყოფილი იყო, რომ აკადემიურ კარდიოლოგიაში დავრჩი და არ წავედი კერძო პრაქტიკის ხაზით. აკადემიურ კარდიოლოგიას ბევრი პლიუსი აქვს: პედაგოგიური საქმიანობა, მუშაობა ახალგაზრდებთან; ასევე, გეძლევა წიგნზე მუშაობის საშუალებაც. ამ პერიოდში ორი წიგნი დავწერე და გამოვეცი აშშ-ში ჩემს სპეციალობაში: ჯერ ექოკარდიოგრაფიაში, ჩემს ქართველ კოლეგებთან ერთად. შემდეგ — გულის კათეტერიზაციაზე, რომელიც აქაც დაიბეჭდა, ითარგმნა და გამოიცა სხვადასხვა ენაზე.

– თქვენ კიდევ ერთი წიგნის თანაავტორიც ბრძანდებით, რომელიც სამედიცინო თემას არ ეხება.

– 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი მძიმედ გადავიტანე. აგვისტოში ჩამოსულიც ვიყავი საქართველოში... მაშინ გადავწყვიტე საქართველოს დამოუკიდებლობის სამწლიან პერიოდზე პატარა ისტორიული ნარკვევი დამეწერა, თუმცა, გამოცემისგან თავი შევიკავე და, შემდეგ, უკვე ისტორიკოს ალექსანდრე დაუშვილის დიდი დახმარებით, მოვამზადე და გამოვეცი წიგნი ამ თემაზე, რომელიც ინგლისურადაც ვთარგმნე.

– თქვენ ხართ ოჯახის წარმომადგენელი, რომელსაც ბევრი ცნობილი ექიმის სახელი უკავშირდება...

– დედაჩემის მხრიდან ყველა სამედიცინო დარგში მოღვაწეობდა. დედა პათოლოგანატომი გახლდათ და ფიზიოლოგიის ინსტიტუტში მუშაობდა ნეიროფიზიოლოგიის დარგში. ბაბუაც, გიორგი მხეიძე, ექიმი იყო - შინაგან დაავადებათა სპეციალისტი. ბაბუას კერძო პრაქტიკა ჰქონდა. პატარა რომ ვიყავი, კაბინეტში მიშვებდა, უკვე მოზრდილს კი — არა. შუშაბანდის მიღმა ვიჯექი და ვუსმენდი... ბაბუას მამაც, ნოე და ბიძა — კონდრატი, ექიმები იყვნენ. კონდრატი იყო უროლოგი, იგი ერთ-ერთი იყო, ვინც მე-20 საუკუნის დასაწყისში ბათუმში დააარსა სამედიცინო საზოგადოება. ბაბუას მამამ - ნოე მხეიძემ, დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის სტომატოლოგიური კურსები. შემდეგ ქუთაისში გადმოვიდა და ფართო სტომატოლოგიური პრაქტიკა ჰქონდა. 1922 წელს ბაბუა-ჩემი - გიორგი მხეიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. მისი უმცროსი ძმა, არჩილი, ფტიზიატრი იყო და დიდხანს აბასთუმანში მუშაობდა ექიმად.

– რას ფიქრობთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შესახებ დღეს?

– თსსუ-ში მიმდინარე ცვლილებები ჩემთვის ძალიან სასიხარულო და მისაღებია. ხელმძღვანელობის დამსახურებაა, რომ სწორად აქვს დანახული, თუ როგორ უნდა განვითარდეს საგანმანათლებლო პროცესი. სამედიცინო განათლება, უპირველეს ყოვლისა, ფუნდამენტია, რომელიც ყველა ექიმს სჭირდება. მასზე იგება კარგი კლინიკური მედიცინა. აქ დღეს მეტი შესაძლებლობა აქვს სტუდენტს, წიგნების, პროგრამების, ტექნიკური ბაზის გამოყენებით, ვიდრე ადრე იყო. ექიმად ჩამოყალიბებისთვის საჭიროა გონებრივი მონაცემები, შრომისმოყვარეობა, მეხსიერება და თავდადება ავადმყოფის მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორი ძლიერი ინტელექტიც არ უნდა ჰქონდეს ექიმს, იგი კარგი მკურნალი ვერასოდეს გახდება.

აქვე მინდა ვისარგებლო შესაძლებლობით და გავუზიარო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს, მომავალ ექიმებს თუ როგორ მოიპოვონ წარმატება ამ რთული პროფესიის დაუფლების გზაზე.

უნივერსიტეტში სწავლის პირველივე დღეებიდან შეეცადეთ ჩამოაყალიბოთ სწავლისა და ქცევის თქვენეული სისტემა, რომელშიც გაერთიანებული იქნება მინიმუმ შემდეგი 7 საბაზისო პრინციპი:

1. მოაწესრიგეთ თქვენი მუშაობის განრიგი - ყოველ საათს მიუჩინეთ შესაბამისი დანიშნულება.
2. გამოიმუშავეთ სწავლაზე კონცენტრირების უნარი, უარი თქვათ იმ გართობაზე, რომელიც თქვენგან ბევრ დროს მოითხოვს. ყველა საგანი ღრმად შეისწავლეთ.
3. ეცადეთ თავიდან აირიდოთ დოგმატური აზროვნება. განივითარეთ კრიტიკული და ლოგიკური ხედვა.
4. ისწავლეთ მოთმინება, მოსმენა, დაკვირვება, პრიორიტეტების გამოვლენა, შეჯამება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გახსოვდეთ: „მედიცინის დაუფლება შესაძლებელია მხოლოდ ავადმყოფის საწოლთან და არავითარ შემთხვევაში, – მხოლოდ საკლასო ოთახში.”
5. თავიდანვე ისწავლეთ თქვენი პატივმოყვარეობის თავმდაბლობით ჩანაცვლება. არ მოგერიდოთ კოლეგებთან კონსულტაცია და ყოველთვის იყავით მზად დამსახურებული კრიტიკისა და რჩევისათვის.
6. არც ერთი დიდი ექიმი ყოფილა დაზღვეული შეცდომებისაგან. რათა ეს შეცდომები მინიმუმამდე იქნას დაყვანილი, ეცადეთ აირიდოთ: უმეცრება, ზედმეტი თავდაჯერებულობა და მზრუნველობის ნაკლებობა.
7. თამამად გაუზიარეთ სხვებს თქვენი ცოდნა. ეს თქვენ და თქვენს კოლეგებს საშუალებას მოგცემთ იყოთ უკეთესნი, რაც, საბოლოო ჯამში, თქვენს ავადმყოფებს დაეხმარება.

– დაბოლოს, როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

— ძალიან მინდა, რომ დავბრუნდე საქართველოში. ვფიქრობ, 4 წელიწადში. ეს ჩემთვის შესაძლებელი იქნება. მიმაჩნია, რომ, საბოლოო ჯამში, დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება ყოველმა ჩვენგანმა თავის სამშობლოს უნდა მოახმაროს.

ესაუბრა ლელა მუკბანიანი

ყოველწლიური ღონისძიება – „საქართველოს დღე“

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ონკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი რემა ღვამიჩავა მივლინებით იმყოფებოდა ლონდონში (გაერთიანებული სამეფო), სადაც ვესტმინსტერის უნივერსიტეტმა უმასპინძლა რიგით 32-ე ყოველწლიურ ღონისძიებას – ,,საქართველოს დღე“ თემით – ,,საქართველო, როგორც განათლებისა და მეცნიერების ჰაბი“. ღონისძიება ჩატარდა საქართველოს საელჩოსა და ვესტმინსტერის უნივერსიტეტის თანაორგანიზებით და მასში მონაწილეობა მიიღეს გაერთიანებული სამეფოს საგარეო უწყების, დიპლომატიური კორპუსის, აკადემიური წრეების, დაძმობილებული ქალაქების, პროფესიული ასოციაციებისა და საქართველოს დიასპორის წარმომადგენლებმა.

კონფერენცია გახსნეს ღონისძიების დამაარსებლებმა და თანაორგანიზატორებმა: დოქტორმა თამარა დრაგაძემ და ვესტმინსტერის უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების კოლეჯის პრეზიდენტმა, პროფესორმა ენდრიუ ლინმა. ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას მთავარი მომხსენებლების სტატუსით მიმართეს საქართველოს ელჩმა გაერთიანებულ სამეფოში, ქალბატონმა თამარ ბერუჩაშვილმა და საგარეო და თანამეგობრობის ოფისის, საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორმა პოლ ბრამელმა.

კონფერენციაზე პროფესორმა რემა ღვამიჩავამ წარადგინა პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დღევანდელ მიღწევებზე, ასევე, მიზანსა და სტრატეგიაზე – თსსუ გახდეს რეგიონში უმაღლესი სამედიცინო განათლების და მეცნიერების ჰაბი.

თავის გამოსვლაში საქართველოს ელჩმა, ქალბატონმა თამარ ბერუჩაშვილმა, ხაზი გაუსვა მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს ლონდონში ხელმოწერილი შეთანხმების – ,,საქართველოს, დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ – მნიშვნელობას. საქართველოს ელჩმა, ასევე, ისაუბრა ქვეყანაში განათლებისა და მეცნიერების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობებზე და ამ კუთხით საქართველოს მთავრობის წარმატებულ რეფორმებსა და სამომავლო გეგმებზე. მან აღნიშნა კონკრეტული წარმატებული პროექტები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების შემდგომი ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივების გათვალისწინებით.

თავის მხრივ, პოლ ბრამელმა მიმოიხილა საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობა და განსაკუთრებით გამოყო მჭიდრო აკადემიური, კულტურული და ხალხთაშორის კავშირები ამ ორ ქვეყანას შორის. ასევე, ისაუბრა ბრიტანეთის მზაობაზე ამ მიმართულებით პარტნიორობის შემდგომი განვითარებისათვის.

კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წამყვანი როლი საქართველოში სამედიცინო განათლების კუთხით, ხოლო ვესტმინსტერის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გამოთქვა სურვილი და მზაობა თსსუ-თან მჭიდრო თანამშრომლობის თაობაზე.

კონფერენციის მსვლელობის პარალელურად, პროფესორ რემა ღვამიჩავას ჰქონდა შეხვედრები ვესტმინსტერის უნივერსიტეტის წამყვან მეცნიერებთან, მათ შორის, ნუტრიციოლოგ პროფესორ იჰაბ ტევფიკთან (იგი გახლავთ საერთაშორისო მრავალნლიანი გამოცდილების აკადემიური ექსპერტი, ოქსფორდის უნივერსიტეტის კონსულტანტი, ჰარვარდისა და ვენსტმინსტერის უნივერსიტეტების პარტნიორობის ხელმძღვანელი), რომელმაც გამოთქვა სრული მზადყოფნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან აქტიური სამეცნიერო და პედაგოგიური თანამშრომლობის თაობაზე.



სტუდენტთა 81-ე საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი კონფერენცია

15 ნოემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ორგანიზებით და თსსუ-ის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის და სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის ხელშეწყობით, სტუდენტთა 81-ე საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი კონფერენცია გაიმართა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და, მათთან ერთად, სტუმრებმა უკრაინიდან: უკრაინის სამედიცინო სტომატოლოგიის აკადემიის, პიროგოვის სამედიცინო უნივერსიტეტის, ლვოვის დანილო ჰალიცკის სახელობის ეროვნული სამედიცინო უნივერსიტეტის, უკრაინის ფარმაციის ეროვნული უნივერსიტეტის, ივანო ფრანკოვსკის სახელობის ეროვნული სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

კონფერენციის მონაწილეებმა წარადგინეს ორიგინალური კლინიკური და ექსპერიმენტული კვლევები და საინტერესო კლინიკური შემთხვევები, რომელთა შეფასებას ახორციელებდა კომპეტენტური ჟიური შემდეგი შემადგენლობით: ასოცირებული პროფესორი დავით ცხომელიძე – თსსუ-ის მოლეკულური ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტი; ასოცირებული პროფესორი ლუიზა გაბუნია – თსსუ-ის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის დირექტორი; პროფესორი მამუკა მარგველაშვილი - სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ქირურგიის მიმართულების ხელმძღვანელი; მაკა მანწკავა - ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. თსსუ-ის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის მოწვეული მასწავლებელი; მაია ჩახნაშვილი – თსსუ-ის სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის სამსახურის სპეციალისტი, ფიზიოლოგიის დეპარტამენტის მოწვეული მასწავლებელი; გიორგი ფოჩხუა – თბილისის რეფერალური ჰოსპიტალის ექიმი-კარდიოლოგი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი; გიორგი ათათია – სადაზღვეო კომპანია IMEDI-L-ის ინსპექტირების და მონიტორინგის სამსახურის უფროსი მენეჯერი, ჯანდაცვის მაგისტრი.

ღონისძიების დასასრულს გამოვლინდა სამი საუკეთესო კვლევა:

NF-kB-mediated oxidative damage to the rats' heart during Systemic Inflammation Response – ანასტასია შკოდინა, ანა ვიეტკინა, ანასტასია მალიკი, უკრაინის სამედიცინო სტომატოლოგიის აკადემია.

Risk of colorectal cancer in patients with colon disorder, კლინიკური შემთხვევის განხილვა – ბოჟენა ანდრუშჩიშინა, ლვოვის დანილო ჰალიცკის სახელობის ეროვნული სამედიცინო უნივერსიტეტი;

The action of silver nanoparticles, received in the area of chitosan, on the metaloproteinasas-9 on the base of the experimentaly modelled chronical bronchitis — ნაილი შავშიშვილი, ნინო ჯალაღონია, ბარბარე უგულავა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

გამარჯვებულებს გადაეცათ სერტიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები.

აღსანიშნავია, რომ, ამავდროულად, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი უკრაინის სამედიცინო სტომატოლოგიის აკადემიასა და ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებას შორის, რომლის ფარგლებშიც შეთანხმდნენ მომავალი გეგმების შესახებ.

საჯარო ლექცია ექსპრესიული არტთერაპიის აქტუალურ საკითხებზე

18 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა ფსიქოლოგ ნათია ფანჯიკიძის საჯარო ლექციას უმასპინძლა, რომელიც, ამავდროულად, თსსუ-ის მოწვეული ლექტორი გახლავთ.

ლექცია თსსუ-ის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურისა და სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით გაიმართა და მიეძღვნა თემას – „ექსპრესიული არტთერაპია“. ქალბატონი ნათია სტუდენტებს ესაუბრა ექსპრესიული არტთერაპიის არსზე, მის დანიშნულებაზე, იმაზე, თუ როგორ ხდება ექსპრესიული არტთერაპიის დახმარებით პიროვნების მენტალური, ფიზიკური, ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესება. ისაუბრა აღნიშნული თერაპიის სხვადასხვა სახეზე, ასევე, სტუდენტებს გააცნო ის საშუალებები, რასაც იყენებენ ექსპრესიული არტთერაპიით მკურნალობის პროცესში.

ლექციის მეორე ნაწილში, კითხვა-პასუხის რეჟიმში, მსმენელებს შესაძლებლობა მიეცათ ნათია ფანჯიკიძისგან მოესმინათ რჩევები მათთვის საინტერესო თემების შესახებ.

თსსუ-ის სტუდენტის კიდევ ერთი წარმატება

2019 წლის 13-17 ნოემბერს ახალგაზრდა და უფროსი ასაკის სპორტსმენებს შორის ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი კრივში, სადაც უფროსი ასაკის მოკრივეთა შორის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტმა, გიორგი ჭიღლაძემ, პირველი ადგილი დაიკავა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი გულითადად ულოცავს გიორგი ჭიღლაძეს კრივში საქართველოს ჩემპიონობას.

თვალსაჩინო ექიმი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე

პროფესორ გურამ ტატიშვილს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა



მის შესახებ გულწრფელი განცდით და სიამაყით საუბრობდნენ, ცრემლნარევი მოგონებებით და დიდი სითბოთი, იმ გრძნობით, რომელმაც საზოგადოება მასთან სამუდამოდ დააკავშირა... ბევრის გაკეთება მოასწრო, როგორც ექიმმა და პროფესიონალმა, იმდენის, ალბათ, მრავლისთვის რომ იქნებოდა საკმარი სახელისა და ღვაწლის მოსახვეჭად...

მშობლიურმა სამედიცინო უნივერსიტეტმა ღირსეული პატივი მიაგო 90 წლის ამაგდარ ადამიანს, ქირურგს, საზოგადოებისთვის ცნობად სახეს, პროფესორ **გურამ ტატიშვილს**, ექვს ათეულ წელზე მეტხანს რომ იდგა მედიცინის სამსახურში და პირუთვნელად ემსახურა ხალხს და ქვეყანას.

მისთვის, სასახელო სამედიცინო ტრადიციების მქონე ოჯახში აღზრდილი პიროვნებისთვის, წარმოუდგენელი იყო, არ გაეგრძელებინა ღირსეული წინამორბედების დიდი საქმე – ექიმის პროფესიის ზიარებისთანავე, ახალგაზრდობის წლებშივე იკვეთება ბატონი გურამის ინტერესი და ლტოლვა, გამხდარიყო ქართული სამედიცინო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, აკადემიკოსი და ვიცე-პრეზიდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მრავალი საერთაშორისო პროფესიული საზოგადოების და საბჭოს საპატიო წევრი, საქართველოს გრიგოლ მუხაძის სახელობის ქირურგთა საზოგადოების თავმჯდომარე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი — ეს მცირე, მაგრამ მრავლისმეტყველი ჩამონათვალია ბატონი გურამის საქმიანობისა, რომელიც საქართველოს გრიგოლ მუხაძის სახელობის ქირურგთა საზოგადოების თავმჯდომარემ, პროფესორმა **გია თომაძემ,** საღამოს მოწყობის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას.

პროფესორმა **ზურაბ ვადაჭკორიამ**, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, აღნიშნა, რომ პროფესორი გურამ ტატიშვილი გახლდათ სამედიცინო უნივერსიტეტის ღვიძლი შვილი, რომელმაც აკადემიური კარიერის, საორგანიზაციო და ადმინისტრაციული თანამდებობის ყველა საფეხური მშობლიურ უნივერსიტეტში განვლო და ბოლომდე მის ცხოვრებაში იყო ჩართული. შეუფასებელია მისი როლი ქირურგიული ასოციაციის აღორძინების საქმეში. მისი ძალისხმევით დაინერგა ქირურგიული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები, აღიზარდა და მომზადდა ქართველ ქირურგთა არაერთი თაობა – მენტორ-ქირურგთა შორის ყველაზე მეტი მოსწავლე ჰყავდა, – აღნიშნა გამომსვლელმა; ამჟამად მისი აღზრდილები წარმატებით მოღვაწეობენ აშშ-ში, რუსეთში, ისრაელში თუ სხვაგან.

ზაზა ბოხუამ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ; **აკაკი ზოიძემ,** საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ; **მარიამ ჯაშმა**, იმ დროისთვის – საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ; **დავით საგანელიძემ**, თსსუ-ის საპატიო დოქტორმა; **ამირან გამყრელიძემ**, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორმა; **ლადო კახაძემ,** საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრმა; პროფესორებმა – **დიმიტრი კორძაიამ, შოთა ჯაფარიძემ, რამაზ ხეცურიანმა, გურამ ერემეიშვილმა, დავით აბზიანიძემ, მერაბ კილაძემ, აკაკი ბერიძემ, გოჩა ინგოროყვამ, ბესიკ იაშვილმა და ავთანდილ ჯორბენაძემ** – ვრცლად ისაუბრეს სასიქადულო ექიმის, პედაგოგის და პიროვნების შესახებ, რომელიც შესანიშნავი მაგალითია მორალური სტანდარტებით ცხოვრებისა, გაუტეხლობისა, გადამდები ოპტიმიზმის მქონე პიროვნებისა, იმისა, თუ როგორი უნდა იყოს მადლიერი მოწაფე, მზრუნველი მასწავლებელი, წარმატებული ექიმი, დიდი ოჯახის საამაყო მეთაური... არაერთი ღირსეული სამთავრობო ჯილდოს მფლობელი გახლდათ ბატონი გურამი, კაცთმოყვარეობის ნიმუში, სიმართლისთვის მებრძოლი, დიდი შინაგანი ღირსების მქონე პიროვნება.

აღინიშნა ბატონი გურამ ტატიშვილის მიერ, სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანადგომით აღორძინებული ჟურნალის – ,,საქართველოს ქირურგიის მაცნის'' – აღდგენის შესახებაც, რითაც დიდი საქმე გაკეთდა ქირურგთა საზოგადოებისთვის და რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ ეს ჟურნალი მალე საერთაშორისოდ რეფერირებადის სტატუსს მიიღებს.

პროფესორმა **დავით ტატიშვილმა**, ბატონი გურამის ვაჟიშვილმა, ისაუბრა მამის განსაკუთრებული პიროვნული ღირსებების შესახებ, აღნიშნა, რომ ის ორგანიზებული, საერთო საქმისთვის თავდადებული პიროვნება, კარგი ექიმი და საზოგადოებისთვის საყვარელი ადამიანი გახლდათ, მისაბაძი პიროვნება შვილების, სტუდენტების და კოლეგებისთვის; ბატონმა დავითმა მადლობა გადაუხადა საზოგადოებას, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, მოწაფეებს და დამსწრე საზოგადოებას პროფესორ გურამ ტატიშვილის ღვაწლის არდავიწყებისა და დაფასებისთვის.

მოამზადა დარეჯან კომლაძემ

ღირსეული პიროვნება და პროფესიონალი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს კიდევ ერთი ღირსეული ადამიანი გამოაკლდა, რამდენიმე თვეა უკვე ჩვენს შორის აღარაა ქალბატონი ასმათ შუკაკიძე.

ქალბატონი ასმათი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადამიანის ნორმალური ანატომიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (IBRO), ევროპის ნეირომეცნიერთა ფედერაციის (FENS), საქართველოს ნეირომეცნიერთა ასოციაციის, საქართველოში მორფოლოგთა საზოგადოების, საქართველოს ექიმთა ასოციაციის წევრი, საქართველოს ღირსების მედლის კავალერი გახლდათ. ეს მის დამსახურებათა და ღირსებათა არასრული ჩამონათვალია, მაგრამ ქართული სამედიცინო საზოგადოება ასმათ შუკაკიძეს, ზემოთ აღნიშნულის გარდა, გამორჩეული მოქალაქეობრივი და ადამიანური თვისებების გამო ენდობოდა და პატივს სცემდა. მეგობრობა, პროფესიონალიზმი, კეთილსინდისიერება, ერთგულება, საიმედოობა, სამართლიანობა, პრინციპულობა, შეუპოვრობა, ადამიანის სიყვარული, ავკარგიანობა – სწორედ ამ ფასეულობებით ცხოვრობდა ქალბატონი ასმათი და შვიდი ათეული წლის თავზე წავიდა ისე, რომ არასდროს უღალატია საკუთარი მსოფლმხედველობრივი პრინციპებისთვის, მათ შორის, ბოლო ორი წლის განმავლობაშიც, როცა ის მძიმე სენს ებრძოდა და გარკვეული ხნით, მართლაც, დაამარცხა იგი. როგორ უნდოდა ყველას და თავად ქალბატონ ასმათს, რომ ეს გამარჯვება ხანგრძლივი ყოფილიყო, მაგრამ...

ასმათ შუკაკიძის აქტიური პროფესიული ცხოვრება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთანაა დაკავშირებული, მისი განუყოფელი ნაწილია. იგი სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი) დამთავრებისთანავე – 1977 წლიდან მოღვაწეობდა თსსუ-ის ნორმალური ანატომიის კათედრასა თუ დეპარტამენტში, აქ ეტაპობრივად გაიარა აკადემიური ზრდის ყველა საფეხური: იყო კათედრის ასისტენტი (1977-1995), დოცენტი (1995-2003), პროფესორი (2003-2006), ასოცირებული პროფესორი (2006-დან).

ქალბატონი ასმათი იმ, უდავოდ, იღბლიან ადამიანთა რიგს მიეკუთვნებოდა, ვინც, ერთ-ერთი პირველი ხვდებოდა სამედიცინო უნივერსიტეტის პირველსემესტრელებს, ხედავდა მათ თვალებს, აღსავსეს სიახლის მოლოდინით და ცნობისწადილით. სწორედ აქ ვლინდებოდა მისი პედაგოგიური ნიჭი, პროფესიული მოწოდების ერთგულება და სტუდენტების გულწრფელი სიყვარული; ამიტომაც მისი სიტყვა და საქმე განმსაზღვრელ ორიენტირად იქცა რამდენიმე ათეული თაობის მედიკოსის, სტომატოლოგის, ფარმაცევტისა თუ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულების წარმომადგენელთათვის. ათ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში (1992-2003) ასმათ შუკაკიძე თსსუ-ის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ბრძანდებოდა. მისმა პასუხისმგებლობით აღსავსე და თბილმა დამოკიდებულებამ ადამიანებისა და საქმისადმი, უაღრესად მნიშვნელოვანი, დადებითი როლი შეასრულა ასობით ახალგაზრდის გარკვევაში არჩეული პროფესიის არც თუ იოლ ლაბირინთებში.

ასმათ შუკაკიძე აქტიურად იყო ჩართული დიპლომისშემდგომ განათლებაში: ბრძანდებოდა არაერთი საინტერესო პოსტდიპლომური, მათ შორის, სამაგისტრო სასწავლო კურსის ავტორი და განმახორციელებელი. მისი ავტორობით და თანაავტორობით გამოქვეყნებულია მონოგრაფია, ასამდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, რამდენიმე ათეული – ავტორიტეტულ საერთაშორისო დარგობრივ პერიოდულ გამოცემებსა თუ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების მასალებში. მისი ავტორობით გამოიცა შვიდი დამხმარე და მეთოდური სახელმძღვანელო, როგორც რედაქტორსა და რეცენზენტს, არაერთ სასწავლო ლიტერატურის შექმნაში აქვს მონაწილეობა მიღებული.

ყველგან და ყოველთვის ქალბატონი ასმათი იყო კვალიფიციური, პასუხისმგებლობით აღსავსე და სასიკეთო საქმეზე მიმართული ქმედებების მაგალითი; ღია, გულწრფელი ქალბატონი, სანიმუშო მეუღლე და დედა, საიმედო კოლეგა, საუკეთესო მასწავლებელი, საინტერესო მკვლევარი, დასაყრდენი მეგობარი; ამიტომაც იყო კოლეგებსა და სტუდენტებს შორის მისი ავტორიტეტი მაღალი და მყარი.

ქალბატონ ასმათ შუკაკიძეს კვლავაც მრავალი წელი უნდა ეღვაწა ქართული მედიცინისა და უმაღლესი სამედიცინო განათლების, მისი მშობლიური თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამსახურში. მისი უდროოდ წასვლა განსაკუთრებით მტკივნეულია მოყვარული ოჯახის, განურჩევლად ყველა მეგობრის, ახლობლის, კოლეგის, სტუდენტისა თუ ყოფილი სტუდენტისათვის!

გმადლობთ ყველაფრისთვის, ქალბატონო ასმათ!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

დიდი დანაკლისი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტმა დიდი დანაკლისი განიცადა – მძიმე სენის შედეგად, 63 წლის ასაკში, გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, მედიცინის აკადემიური დოქტორი მურმან ღვალაძე.

მურმან ღვალაძე დაიბადა ქუთაისში. სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სანიტარული ჰიგიენის ფაკულტეტზე, რომელიც, ასევე, წარჩინებით დაამთავრა და იმავე წელს, კონკურსის შედეგად, აირჩიეს ფარმაკოლოგიის კათედრის ასისტენტად. კათედრაზე მუშაობის 3 ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მან დიდი ავტორიტეტი მოიპოვა თანამშრომლებსა და სტუდენტებს შორის; იყო მეტად ნიჭიერი ლექტორი და შესანიშნავი ექსპერიმენტატორი, რომელიც სიამოვნებით უზიარებდა ცოდნას და გამოცდილებას ახალგაზრდებს. დიდია მისი წვლილი საქართველოს მედიკოსთა მთელი პლეადის აღზრდის საქმეში, რომელთაც დღესაც ახსოვთ მისი დაუშრეტელი ენერგია, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა და სტუდენტებისადმი განსაკუთრებული სიყვარული.

ბატონი მურმანი ნაყოფიერად უთავსებდა ერთმანეთს აკადემიურ და სამეცნიერო მუშაობას. 1991 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია მოსკოვში და, თბილისში დაბრუნების შემდეგ, მოღვაწეობა გააგრძელა თსსუ-ის ფარმაკოლოგიის კათედრაზე, როგორც აკადემიური, ისე – სამეცნიერო მიმართულებით. ბატონი მურმანი რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. იგი გახლდათ არაერთი სამეცნიერო ფორუმის აქტიური მონაწილე და დიდი პატივისცემით სარგებლობდა ქართველ და უცხოელ კოლეგებს შორის; თავისი პროფესიონალიზმის, კომუნიკაბელობის და იუმორის წყალობით, დიდ პატივისცემას იმსახურებდა სტუდენტებში. სამწუხაროა, რომ ბატონი მურმანი ნაადრევად წავიდა ამქვეყნიდან – ჯერ კიდევ ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლო უნივერსიტეტისა და ქვეყნისთვის.. ძნელია ამ მტკივნეული დანაკლისის შევსება ოჯახისთვის – მისი მეუღლისთვის, რომელიც, ასევე, შესანიშნავი ექიმია, ღირსეული და წარმატებული 3 შვილისა და ექვსი შვილიშვილისთვის.. იმედია, რომ ისინი, ბატონი მურმანის მსგავსად, სასიქადულო მოქალაქეებად მოევლინებიან მომავალში სამშობლოს..

რთულია კოლეგასა და მეგობარზე წარსულ დროში საუბარი, თუმცა ნუგეში ისაა, რომ დაგვიტოვა ნათელი კვალი და საუკეთესო მოგონებები... უფალმა დაუმკვიდროს სამარადისო სასუფეველი.

სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტი

თსსუ-ის სახალხო ანსამბლი 35 წლისაა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კულტურის ცენტრთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლს 35 წელი შეუსრულდა.

დაარსებიდან დღემდე ანსამბლის წარმატებებმა, ჩვენს ქვეყანასა თუ მის საზღვრებს გარეთ, არაერთხელ გაახარა გულშემატკივარი. ანსამბლს, სხვადასხვა დროს, წარმატებული საგასტროლო ტურნეები ჰქონდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალებზე (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, შვეიცარია, იტალია, ესპანეთი, ჩეხეთი, საბერძნეთი...) განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი წლევანდელი წარმატების შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში, „სითი ქლაბისა“ და ემორის უნივერსიტეტის დარბაზებში, სადაც გამართული კონცერტები თბილისის და საქართველოს საპატიო მოქალაქის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, პროფესორ კენეტ ვოლკერის, ხსოვნას მიეძღვნა, ხოლო ამერიკაში გამგზავრება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, კერძოდ, რექტორის, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას და კანცლერის, პროფესორ ზურაბ ორჯონიკიძის ძალისხმევით გახდა შესაძლებელი. უნდა აღინიშნოს, ასევე, თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ხელმძღვანელის, ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორის, ბატონი არჩილ უნდილაშვილის და თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორის მოადგილის, ნინი ზარდიაშვილის, წვლილის შესახებ საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში.

თსსუ-ის ანსამბლს, არსებობის 35 წლიანი ისტორიის განმავლობაში, მოპოვებული აქვს 7 მთავარი პრიზი, 3 ოქროს მედალი, ევროპარლამენტის დიპლომი. 1994 წელს საქართველოს კულტურის სამინისტრომ მიანიჭა საპატიო „სახალხო ანსამბლის“ წოდება; საუკეთესო ანსამბლად აღიარეს 1996 წელს იტალიაში, 2014 და 2019 წლებში – საქართველოში. არის ეროვნული და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი, იუნესკოს 2 კომიტეტის წევრი. ანსამბლის წარმატებები არაერთხელ გაშუქდა ტელევიზიის და პრესის საშუალებით საქართველოსა და უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში. 2001 წელს ანსამბლის წარმატებულ კონცერტებს ევროპაში სპეციალური რეპორტაჟი მიუძღვნა ამერიკის რადიომ („თავისუფლების ხმა“).

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის მიერ წარმატებული შემოქმედებითი მოღვაწეობისა და ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, თსსუ-ის კულტურის ცენტრის დირექტორი, „სახალხო ანსამბლის“ ხელმძღვანელი, ბადრი მაჭავარიანი, დაჯილდოებულია „ამაგდარის“ ორდენით.

ანსამბლის წარმატებებში, ხელმძღვანელთან ერთად, დიდია ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფის, სუხიშვილების ლეგენდარული თაობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის, „ღირსების ორდენის კავალერის“, დავით უგრეხელიძის, ასევე, ქორეოგრაფის, ეროვნული და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატ ინეზა კუპრეიშვილის, ლოტბარის, ეროვნული და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატის, დავით რატიანის (უმცროსი), ხალხური საკრავების ხელმძღვანელის, ეროვნული და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატის, დავით რატიანის, მუსიკოსების – ბეჟან მაისურაძის, ვასილ ვარამაშვილის, კახაბერ კანდელაკის და ნიკა გამეზარდაშვილის წვლილი.

ვულოცავთ თსსუ-ის სახალხო ანსამბლს ამ მნიშვნელოვან თარიღს და წარმატებებს ვუსურვებთ კვლავაც ჩვენი უნივერსიტეტის და ქვეყნის სასახელოდ.

„ჰიგიას“ წარმატება სტუდენტურ ფესტივალზე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თეატრი „ჰიგია“ მონაწილეობდა ბათუმში გამართულ სტუდენტურ ფესტივალში – „დებიუტი“, 7 სხვა თეატრალურ დასთან ერთად, რომელთაგან 5 საერთაშორისო სამოყვარულო თეატრი გახლდათ.

ფესტივალზე თეატრმა „ჰიგიამ“ წარადგინა სპექტაკლი – „სიკვდილი ღრუბლებში“, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა, რაზეც ფესტივალის დახურვის ცერემონიაზე აღებული პრიზები მეტყველებს.

ქალის და მამაკაცის ეპიზოდური და მთავარი როლების საუკეთესო შესრულებისთვის „ჰიგიას“ წევრებმა 4 პრიზი მოიპოვეს. ქალის მთავარი როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის პრიზი აიღო მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტმა, ნინო ებიტაშვილმა. დახურვის ცერემონიაზე ჟიურიმ საუკეთესო სპექტაკლად ერთხმად დაასახელა – „სიკვდილი ღრუბლებში“.

„და არს მუსიკა“

თსსუ-ის სტუდენტის სოლო საფორტეპიანო კონცერტი გია ყანჩელის ხსოვნას მიეძღვნა



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კულტურის ცენტრთან კარგა ხანია ფუნქციობს კლასიკური მუსიკის განყოფილება, სადაც მუსიკის მოყვარული სტუდენტები ერთიანდებიან და კონცერტებით არცთუ იშვიათად ანებივრებენ კლასიკური მუსიკის თაყვანისმცემლებს. მათ შორის განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეულებისთვის მუსიკა ცხოვრების წესად ქცეულა, ისევე, როგორც მიშიკო დუმბაძისთვის... წლების წინ, სწორედ მის შესახებ აღვნიშნავდით „სამედიცინო გაზეთში“: „ჩვენი რესპონდენტისთვის მუსიკა არა მხოლოდ განტვირთვის, არამედ გამოხატვის საშუალება და ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, რომლის გარეშეც საკუთარი თავი ვერც დღეს და ვერც მომავალში წარმოუდგენია“. მაშინ მიშიკო მედიცინის ფაკულტეტის მეორესემესტრელი გახლდათ, დღეს უკვე უნივერსიტეტს ამთავრებს და წლებმა მუსიკისადმი მის განსაკუთრებულ ინტერესს და სიყვარულს არათუ დააკლო რამე, გაცილებით მეტიც შესძინა... აღნიშნულის დასტური გახლდათ 7 ნოემბერს გამართული მისი სოლო საფორტეპიანო კონცერტი, რომელიც ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, „სიჩუმის მუსიკის“ შემოქმედად აღიარებული ლეგენდარული მუსიკოსის, გია ყანჩელის, ხსოვნას მიეძღვნა. კონცერტის დაწყებისთანავე კომპოზიტორის ულამაზესი, სიცოცხლეშივე კლასიკად ქცეული, მელოდიები აჟღერდა, რომელსაც ოვაციებით შეეგება მსმენელი.

„მინდოდა, რომ დღევანდელი კონცერტი არა ჩემთვის, არამედ ჩემი ნილი გია ყანჩელისთვის ჩატარებულიყო. შემთხვევითი არ არის, რომ კონცერტი დავიწყე მისი ცნობილი პიესით: „ის აქ არის“, რადგან მჯერა, რომ ის მართლაც ჩვენს შორისაა – ყველასთვის ახლობელი და საყვარელი მუსიკით“, – ასე მიმართა მიშიკომ მსმენელს.

პროგრამაში იყო ბეთჰოვენის, მენდელსონის, შოპენის, ბრამსის, სკრიაბინის, ბაბაჯანიანისა და პიაცოლას ნაწარმოებები, რომელიც ახალგაზრდა შემსრულებელმა განსაკუთრებული განცდით და ემოციით მიიტანა მსმენელამდე.

კონცერტის დასრულების შემდეგ საკუთარი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა კულტურის ცენტრთან არსებული კლასიკური მუსიკის განყოფილების ხელმძღვანელმა გოდერძი ჩიტაიშვილმა: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს საფორტეპიანო კლასში მუსიკაზე შეყვარებული ახალგაზრდები არცთუ ცოტანი არიან, მიშიკო მაინც გამორჩეული იყო მათ შორის, რაც, უპირველესად, მისი პედაგოგის, აჭარისა და რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის, ქალბატონი ინგა ბოცვაძის, დამსახურებაა, რომელიც, თავის მხრივ, ცნობილი ქართველი პიანისტის და პედაგოგის, არაერთი სახელგანთქმული პიანისტის აღმზრდელის, ბატონი თენგიზ ამირეჯიბის, მოსწავლე გახლდათ. შესაბამისად, მიშიკოც ბატონი თენგიზის სკოლის წარმომადგენლად მოიაზრება და შეუძლებელია ასეთი გამორჩეული არ იყოს... ჩვენს საფორტეპიანო განყოფილებაში მოსვლის შემდეგაც მუდმივად შრომობდა, ვითარდებოდა, რაც კარგად ჩანდა თსსუ-ში გამართული კონცერტებიდანაც, სადაც იგი არაერთხელ წარმოჩინდა, როგორც ნიჭიერი პიანისტი. მალე მიშიკო უნივერსიტეტს დაამთავრებს და დაგვემშვიდობება. დარწმუნებული ვარ, ისეთივე წარმატებული ექიმი იქნება, როგორიც პიანისტი, ჩვენ კი იმედს ვიტოვებთ, რომ ხშირად გვესტუმრება და მოწვეული პიანისტის ამპლუაში არაერთხელ მიანიჭებს მსმენელს სიამოვნებას...“

კონცერტს ესწრებოდნენ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ქალბატონი ნინო ქათამაძე და საქართველოს ხელოვანთა კავშირის – „ხელოვანები მომავლისთვის“ – თავმჯდომარე ნინო კუპატაძე, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს ახალგაზრდა პიანისტის შესრულებას.

დასასრულ, კონცერტის მთავარმა გმირმა, მიშიკო დუმბაძემ, მადლობა გადაუხადა პედაგოგებს, ქალბატონ ინგა ბოცვაძეს და ბატონ გოდერძი ჩიტაიშვილს, დამსწრე საზოგადოებას, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, სადაც ყოველნაირი პირობა ჰქონდა შექმნილი შემოქმედებითი ნიჭის წარმოჩენა-განვითარებისთვის და აღნიშნა, რომ ეს იყო უმნიშვნელოვანესი დღე მის ცხოვრებაში; მოგვიანებით კი სოციალურ ქსელში ასე გამოეხმაურა ამ დღეს: „არ ვიცი, როგორი იყო კონცერტი, მართლა არ მახსოვს, როგორ დავუკარი, განსაკუთრებით – პირველი რამდენიმე ნაწარმოები... თუმცა, მახსოვს თბილი, კეთილი და ზოგჯერ ცრემლიანი მსმენელების თვალები, რაც ყოველი ნაწარმოების შესრულების წინ უდიდესი ენერგიით მავსებდა. წერილები, რომლებსაც კონცერტის შემდეგ ვიღებ, მაძლევს უფლებას, ვთქვა: ეს კონცერტი შედგა... ძალიან დიდი მადლობა ყველას, ვინც ჩემთან ერთად შექმნა ეს დღე!.. ჩვენ კიდევ შევხვდებით!“

რა თქმა უნდა, კონცერტი შედგა და წინ კიდევ ბევრი წარმატებული კონცერტია მუსიკაზე ფანატიკურად შეყვარებული ახალგაზრდა მუსიკოსისა, რომელმაც დიდი კომპოზიტორების ნაწარმოებებში ჩადებული იდეები და შინაარსი მისეული ხელწერით აამეტყველა და დაუვიწყარი საღამო აჩუქა მუსიკის ურიცხვ თაყვანისმცემელს.

ნატო ბოლქვაძე

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64
რედაქტორი **ლელა მუკბანიანი**
კორესპონდენტები: **მანანა ფხალაძე** ტ.:555 29 98 27 **დარეჯან კომლაძე** ტ.:558 17 08 47 **ნატო ბოლქვაძე** ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა newspaper@tsmu.edu